

ნ: 11/296

6 დეკემბერი 2022 წ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს
ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონო თამარ,

შპს საქართველო ურბან ენერჯი ახორციელებს მდინარე ფარაგანზე 85მვტ ელექტროსადგურის (ფარაგანის ჰესი) ოპერირებას 2009 წლის 9 ნოემბერს გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის (ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა 101; გარემოზე ზემოქმედების ნებართვა 00273, 9.11.2009) შესაბამისად.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თანახმად კომპანია ვალდებულია აწარმოოს ჰესის ინფრასტრუქტურის ტექნიკური მონიტორინგი, მათ შორის სადაწნეო მილსადენის ულტრაბგერითი შემოწმება.

მოგახსენებთ, რომ ვინაიდან მილსადენი მთლიანად ბეტონით არის დაფარული კონტროლის აღნიშნული მეთოდის გამოყენება შესაძლებელი არ არის. შემოწმების ვალდებულების შესრულების და მილსადენის შესაძლო ფილტრაციული დანაკარგების დადგენის მიზნით დაგეგმილი გვაქვს - აკუსტიკური ხმაურის დეტექტირების გამოყენება.

ვინაიდან გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი, თავი II მუხლი 5, პუნქტი 12-ის შესაბამისად 'გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა' - კონტროლის მეთოდის ცვლილება სკრინინგის გადაწყვეტილებას საჭიროებს.

დაგეგმილი საქმიანობის სკრინინგის პროცედურის გასაველეად წარმოგიდგინეთ ფარაგანის 85მვტ ჰიდროელექტროსადგურის სადაწნეო მილსადენის კონტროლის მეთოდის ცვლილების სკრინინგის განცხადებას. წერილს დანართის სახით ერთვის

ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ (ნაბეჭდი და ელექტრონული სახით - 1 CD დისკი), სამუშაოების წარმოების ადგილმდებარეობის ამსახველი შეიპ ფაილი).

გთხოვთ განიხილოთ განაცხადი და წარმოგიდგინოთ თქვენი გადაწყვეტილება გზმ-ს დოკუმენტის მომზადების საჭიროებასთან დაკავშირებით.

გთხოვთ, შეწყვიტოთ 22 ნოემბერს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილი სკრინინგის განაცხადის (წერილი #11/293) ადმინისტრაციული წარმოება.

პატივისცემით,

ნოდარ კურტანიძე,
დირექტორი

